„ნიუ მეჯიქი”

პროფესიული კოლეჯი

ახალი უნარები უკეთესი შესაძლებლობებისკენ

კატალოგი

2025

შპს "ნიუ მეჯიქის" ხედვა, მისია და ღირებულებები

შპს "ნიუ მეჯიქს" არის ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება.

ხედვა

შპს "ნიუ მეჯიქს" 2028-2029 წლებში გეგმავს გახდეს მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონული მრავალპროფილური პროფესიული კოლეჯი, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს პროფესიული განათლების სერვისების ფართო სპექტრს.

მისია

კოლეჯის მისიაა მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, ხარისხზე ორიენტირებული პროფესიული პროგრამების განხორციელება. ის მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი, პროფესიული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებას აჭარის რეგიონსა და ქვეყნის მასშტაბით, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული მრავალფეროვანი სერვისების გაწევას და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

ღირებულებები

- **ობიექტურობა**: კოლეჯის საქმიანობა ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და სტანდარტებს, რაც გამორიცხავს მიკერძოებულობას.
- **გამჭვირვალეობა**: კოლეჯის რეგულაციები და პროცედურები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია დაინტერესებული პირებისთვის.
- **მიუკერძოებლობა**: კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ მისი გადაწყვეტილებები შეესაბამება კანონმდებლობას და ითვალისწინებს დაინტერესებულ პირთა საუკეთესო ინტერესებს.
- **თანამშრომლობა**: კოლეჯი ღიაა თანამშრომლობისთვის, რათა განიხილოს სიახლეები და წინადადებები.
- **განვითარება**: კოლეჯი სისტემატიურად აფასებს თავის საქმიანობას და გეგმავს განვითარების გზებს პარტნიორებთან ერთად.

"ნიუ მეჯიქს" მოწოდებულია, რომ მუდმივად გააუმჯობესოს თავისი სერვისები და ხელი შეუწყოს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროცესს.



უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზე ზრუნავს, მის აღზრდასა და განვითარებას უწყობს ხელს. ამ მიზნებისთვის, აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო. პროგრამა ითვალისწინებს, აღმზრდელმა შეძლოს ეფექტური კომუნიკაცია ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან და სფეროს წარმომადგენლებთან.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კარიერული შესაძლებლობები:
პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე და ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლების კომპონენტებს.

სწავლების ხანგრძლივობა: 2 წელი მათთვის, ვისაც უდასტურდება ქართული ენის ცოდნა. სამი წელი მათთვის, ვისაც არ უდასტურდება ქართული ენის ცოდნა

დამატებითი ინფორმაცია:

მოდულების ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის ცოდნა. ასეთ სტუდენტებისთვის სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში

პროგრამის მიზანი: უზრუნველყოს საბაჟო სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება. პროგრამა მიზნად ისახავს საბაჟო საქმის სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ განახორციელონ შემდეგი ამოცანები:

- **საბაჟო საზღვრის კვეთა**

- **საქონლის საბაჟო გაფორმება**
- **საბაჟო ზედამხედველობა**
- **საბაჟო კონტროლის განხორციელება**
- **საბაჟო წარმომადგენლობა**

დაშვების წინაპირობა:

პროგრამაში ჩასარიცხად საჭიროა სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში:

- საჯარო სექტორი: სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტში, სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო ოფიცრად.
- კერძო სექტორი: საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 17 თვე
- არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის: 23 თვე

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- განახორციელონ საბაჟო ზედამხედველობა
- გააკონტროლონ ფიზიკური პირები და სატრანსპორტო საშუალებები
- განსაზღვრონ საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება
- განახორციელონ საბაჟო დეკლარირება და გაფორმება
- განახორციელონ სასაზღვრო საკარანტინო კონტროლი
- განახორციელონ არასატარიფო ღონისძიებები
- სამართლებრივი საქმეების წარმოება საბაჟო სამართალდარღვევებზე



მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში

მიზანი: მოამზადოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთანი. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება.

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ჯანდაცვის სფეროში, სხვადასხვა პროფილის სამედიცინო დაწესებულებებში, შინმოვლის სფეროში, სხვა ტიპის ორგანიზაციებში, რომლებიც საჭიროებს საექთნო მომსახურებას.

სწავლების კომპონენტები

- თეორიული სწავლება: მოიცავს საგანმანათლებლო მასალების შესწავლას და საგნების თეორიულ განხილვას.
- პრაქტიკული სწავლება: მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მუშაობას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.
- კლინიკური სწავლება: ხორციელდება კლინიკურ ბაზაზე და მოიცავს პრაქტიკულ გამოცდილებას სამედიცინო სფეროში.

პროგრამის ხანგრძლივობა და კრედიტები

- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის : 128 კვირა
- უცხოენოვანი სტუდენტებისთვის: ხანგრძლივობა: 148 კვირა

სწავლის შედეგები:

კურსდამთვრებულს შეუძლია: შეაფასოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, განახორციელოს თერაპიული, ქირურგიული გადაუდებელი, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის, პერიოპერაციული პაციენტის, სამეანო და გინეკოლოგიური, პედიატრიული პაციენტის საექთნო მართვა განახორციელოს და უზრუნველყოს შინმოვლის მომსახურების გაწევა განახორციელოს და უზრუნველყოს გერიატრიული პაციენტის საექთნო მართვა, დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი პრაქტიკისა და მოვლის ხარისხის შეფასება.



პროგრამის მიზანი: ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების– განთავსების, აღწერის, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა-მიწოდების პროცესში მონაწილეობას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, მცირე შეფუთვებად მზა წამლის

ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით წამლის მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში.

სწავლის შედეგები:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის პერიოდული კონტროლი განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება– მარკირება
- მომზადება რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი წამლის ფორმები
- გათვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევამიწოდება, კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაცია
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება–ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური წამლის ფორმების მომზადების, მცირე შეფშეფუთვებად წამლის ფორმების დაფასოების შესახებ
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 90 კვირა
არქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 110 კვირა



უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

პროგრამის მიზანი: კვალიფიციური ბუღალტრის მომზადება, რომელიც მზად იქნება შრომის ბაზარზე შესვლისთვის და შეძლებს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში და დაწესებულებებში პროფესიონალური საქმიანობის განხორციელებას.

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შეძლებენ:

- სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვა და ორგანიზება: მონაწილეობა სამეწარმეო, არასამეწარმეო და სახელმწიფო ორგანიზაციების სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვასა და მართვაში.
- ფინანსური და ბუღალტრული ანალიზი: ფინანსური ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმება და ანალიზი, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან.
- ბუღალტრული გატარებები და საგადასახადო დეკლარაციები: ბუღალტრული გატარებების განხორციელება და დადგენილი წესით საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და წარდგენა.
- საგადასახადო ვალდებულებების მართვა: საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვა სახელმწიფო ბიუჯეტში.
- დოკუმენტაციის შედგენა: ფინანსური ანგარიშგების, პირველადი სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაციის შედგენა გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

კარიერული შესაძლებლობები:

კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ სხვადასხვა ორგანიზაციაში როგორც ბუღალტრები, ფინანსური ანალიტიკოსები ან აუდიტორები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ ზრდასა და განვითარებას.

დასაქმების ფორმები

- მთავარი ბუღალტრად მუშაობა: პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების მართვაზე და ორგანიზაციული ბიუჯეტის მართვაზე.
- ბუღალტრის ასისტენტი/თანაშემწე: მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, საბუღალტრო პროცესების მხარდაჭერა.

- ბუღალტერ-მოანგარიშედ: ფინანსური ოპერაციების შესრულება და ანგარიშების მომზადება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის: 72 კვირა
არქართულენოვანისტუდენტებისათვის: 92 კვირა

პარტნიორები

ფოტოგალერია

კონტაქტი

+995 557 727-727

Info@newmagic.ge

http://www.newmagic.ge

ქ. ბათუმი,
ჯავახიშვილის ქ №3ა